პოლიტიკის ესთეტიზაცია ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემაში

ალექსანდრე კაკაბაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (პოლიტიკის ანთროპოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლუკა ნახუცრიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსანდრე კაკაბაძე _____ 20.06.2014

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოადგინოს პოლიტიკის ესთეტიზაციის შინაარსი და სტრუქტურა ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემაში. თეზისის პირველ ნაწილში საუბარია საჯარო სივრცესა და მისი მნიშვნელობაზე, მას მოსდევს ლიბერალურ-დემოკრატიული საჯარო სივრცის ფორმირება და სახელმწიფოს, პარლამენტის, პრესის, ბაზრისა და კაპიტალის როლი საჯარო სივრცეში. შემდეგ ნაწილში განხილულია რანსიერისეული პოლიტიკისა და პოლიციის კავშირი პოლიტიკის ესთეტიზაციასთან; გრძნობადის დანაწილების პრობლემა და მისი მიმართება თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტიკასთან. ბოლო ნაწილშიწარმოდგენილია ესთეტიზირებული პოლიტიკის წარმოების საშუალებები (პოპულიზმი და მედიატიზირებული პოლიტიკა) და მისი შემოქმედის, პოლიტიკოსის როლი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლიტიკის ესთეტიზაცია, საჯარო სივრცე, მედიატიზირებული პოლიტიკა, პოპულიზმი, ლიბერალური დემოკრატია.

Abstract

The following paper sets out to present the content and the structure of the aestheticasation of politics in the liberal democratic system. The first part of the thesis deals with the public sphere and its meaning, followed by the discussion of the formation of the liberal democratic public sphere and the roles of the state, the parliament, the press, the market and the capitalin the public sphere. The next part of the paper reviews the relation of Rancierian *politics* and *'police'* to the aestheticisation of politics; the problem of the *Distribution of the Sensible* and its relation to modern liberal democratic politics. The last part of the paper presents the tools of making aestheticized politics (populism and mediatized politics) and the role of its maker – the politician.

Key Words: Aestheticisation of Politics; Public Sphere; Mediatised Politics; Populism, Liberal Democracy.